ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში - "საქართველოს უმაღლეს განათლებაში დუალური სწავლების შესაძლებლობების გაძლიერება" გაიმართა სადისკუსიო ფორუმი in order to present all results from T1.2 and T1.3 to stakeholders. ამ შედეგებთან დაკავშირებით დაინტერესებული მხარეების მიერ გამოთქმული მოსაზრებები გათვალისწინებული იქნება პროექტის მომდევნო ეტაპზე, როდესაც პროექტის მონაწილეები გადავლენ საქართველოსთვის მორგებული დუალური მოდელის შემუშავების ეტაპზე.

ფორუმის დღის წესრიგი იყო შემდეგი (დეტალურად დანართში):

- ნაწილი I
  - პროექტის ზოგადი მიმოხილვა
  - დუალური განათლების გამოწვევები
- ნაწილი II - კვლევის შედეგების წარდგენა
  - კვლევის შედეგები - უცხოეთის გამოცდილება
  - კვლევის შედეგები - ქართული შრომის ბაზრის საჭიროებების კვლევა
- ნაწილი III
  - პროექტში მონაწილე ქართული უმაღლესი სასწავლებლების ხედვა დუალურ სწავლებასთან მიმართებაში და დისკუსია მოწვეული სტუმრების მონაწილეობით
  - შრომის ბაზრის ხედვა და კვლევის შედეგების განხილვა. ქართული კომპანიების გამოცდილება და ხედვა დუალურ სწავლებასთან დაკავშირებით. დისკუსია მოწვეული სტუმრების მონაწილეობით

ფორუმში მონაწილეობისთვის მოწვევა დაეგზავნა საქართველოს ყველა უმაღლეს სასწავლებელს და კომპანიებს. მოსაწვევში მოკლედ იყო ახსნილი პროექტის ძირითადი მიზნები და დღის წესრიგი. სტუმრებს ასევე გაეგზავნათ პროექტის

პირველ ეტაპზე შექმნილი ორი ანგარიში: ანგარიში ევროპული გამოცდილების შესახებ და ანგარიში საქართველოში დუალური უმაღლესი განათლებისთვის კომპანიების საჭიროებების შესახებ.

ფორუმზე დასწრება შესაძლებელი იყო როგორც პირისპირ ასევე ონლაინ. მათთვის ვინც ამჯობინა ონლაინ დასწრება, გაიგზავნა მოწვევის შესაბამისი ბმული.

ფორუმი ჩატარდა ჰიბრიდულ მოდელში, ფიზიკურად ფორუმს დაესწრო 20 სტუმარი, ხოლო ონლაინში წარმომადგენლი 55 სტუმარი საქართველოს უმაღლესი საგანანმანათლებლო სისტემიდან და კომპანიებიდან.

ფორუმი გახსნა და სიტყვით მიესალმა საქართველოს განათლების სამინისტროს წარმომადგენელმა ნინო წერეთელმა, რომელმაც ხაზი გაუსვა დუალური განათლების მნიშვნელობას და Erasmus+ პროექტების დადებით როლს საქართველოს განათლების სისტემაში.

ფორუმს ასევე მიესალმა განათლების ხარისხის ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე ლაშა მარგიშვილი. ხარისხის ცენტრის ჩართულია აღნიშნული პროექტის განხორციელებაში და ცენტრის პოზიცია, ისევე როგორც სამინისტროსი არის ცალმხრივი მხარდაჭერა სწავლების დუალური მოდელის მიმართ.

ფორუმს ასევე მიესალმნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი.

ფორუმის გახსნის შემდეგ ვანო ცერცვაძეს, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის წარმომადგენელმა ფორუმის მონაწილეებს გააცნო პროექტის მიზნები.

დასაწყისში ვანო ცერცვაძემ ფორუმის მონაწილეებს განუმარტა თუ რა იგულისხმება „დუალური განთლების“ მოდელში. მან აღნიშნა, რომ დუალური განათლება გულისხმობს სასწავლო პროცესში ორი მხარის ჩართულობას, აკადემიისა და დამსაქმებლის მონაწილეობას. სახელიც სწორედ აქედან მომდინარეობს. ხანდახან ეშლებათ ხოლმე და დუალურ განათლებაში მოიაზრებენ ორმაგ დიპლომს, ან ორი

უნივერსიტეტის საერთო პროგრამას. თუმცა დუალური განათლება ნიშნავს სწორედ სასწავლებლისა და დამსაქმებლის ურთიერთობას მოსწავლისათვის შესაბამისი უნარების მიცემის მიზნით.

ფორუმის მონაწილეების მიმართ დაისვა შეკითხვა - რით განსხვავდება დუალური უმაღლესი განათლება ჩვეულებრივი უმაღლესი განათლების სასწავლო გეგმისგან, სადაც ასევე გათვალისწინებულია პრაქტიკის კომპონენტი, რომელიც როგორც წესი 10-20 კრედიტის ფარგლებში მერყეობს?

გიორგი ქვარცხავამ (ფორუმის მასპინძელი - GTU) აღნიშნა, რომ უმთავრესი განსხვავება არის სწავლების მიზანსა და საბოლოოდ შედეგში. უმაღლესი სწავლების არსებული ტიპი ვერ უზრუნველყოფს სტუდენტის სწრაფ ადაპტაციას სამუშაო მოთხოვნებთან. კურსდამთავრებულს ესაჭიროება გარკვეული დრო, იმისათვის, რომ გაერკვეს სამუშაოს არსში, დამსაქმებელს ეხარჯება ზედმეტი ადამიანური და მატერიალური რესურსი ახალი კადრის გადასამზადებლად, რაც თავისთავად ასახავს იმ დაშორებას რაც არსებობს საუნივერსიტეტო ცოდნასა და შრომითი ბაზრის მოთხოვნებს შორის. ეს მოსალოდნელიც იყო, ვინაიდან შრომისა და წარმოების პროცესები, ახალი ტექნოლოგიები იმდენად სწრაფად იცვლება, რომ უნივერსიტეტები ვეღარ ახდნენ სასწავლო გეგმების დროულ მოდიფიცირებას საბაზრო მოთხოვნებთან შესაბამისობაში. და ამის მაგალითი თანამედროვე სამყაროში საკმაოდ ბევრია, ე.წ. უდიპლომო მილიონერების სახით.

თელავის უნივერსიტეტის წარმომადგენლის (ااا) თუ საუბარია, ფუნდამენტურ მეცნიერებებზე და ჩვენ გვინდა გამოვზარდოთ ახალი აინშტაინები და კიურეები, მაშინ დუალური მოდელი შეიძლება არ გამოგვადგეს, მაგრამ როცა საუბარია ამგვარი მეცნიერების მიერ დადგენილი თეორიების გამოყენებაზე, მათ დანერგვაზე, მათ კომერციალიზაციაზე, წარმოების პროცესის სრულყოფაზე, რესურსების გამოყენების სწორ და ეფექტურ მართვაზე, მაშინ რა თქმა უნდა ჩვენ გვჭირდება ისეთი

კურსდამთავრებულები, რომლებიც მყისიერად ადაპტირდებიან ბაზრის მოთხოვნებთან.

გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე მოკლედ შეჯამდა პროექტის ძირითადი მიზნები:

- საქართველოში უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულთა კომპეტენციების გაუმჯობესება დამსაქმებელთა საჭიროებების შესაბამისად;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების გაზრდა და სწავლისადმი მათი მოტივაცია;
- სტუდენტებს საშუალება ეძლევათ დააფინანსონ საკუთარი განათლება.

და ამ მიზნების მისაღწევად აუცილებელი ამოცანები:

- პირველი ესაა არსებული პრაქტიკის შესწავლა უცხოური ქვეყნების მაგალითზე და ქართული შრომის ბაზრის საჭიროებების შეფასება.
- შემუშავდება საქართველოზე მორგებული უმაღლესი განათლების მოდელი, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს დამსაქმებლების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და სტუდენტების ინტერესების განხორციელებას სხვადასხვა სამეწარმეო მიმართულებით.
- შემუშავებული რეკომენდაციები წარედგინებათ საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს სწავლებაში ორმაგი განათლების კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის;
- შემუშავდება შესაძლო ცვლილებების პროექტი კანონმდებლობაში/რეგულაციებში ორმაგი უმაღლესი განათლების კომპონენტის ადაპტირებისთვის.

კვლევის შედეგების წარდგენა

კვლევის შედეგები - ანგარიში ევროპული გამოცდილების შესახებ და ანგარიში საქართველოში დუალური უმაღლესი განათლებისთვის კომპანიების საჭიროებების შესახებ წარადგინა ვანო ცერცვაძემ (GIPA).

ვანო ცერცვაძემ აღნიშნა, რომ ანგარიშში შესულია ევროპის 4 ქვეყნის - ავსტრიის, გერმანიის, ესპანეთისა და სერბეთის უმაღლესის სასწავლებლების დუალური პროგრამების გამოცდილების ანალიზი და მოყვანილია 20 დუალური პროგრამის შეფასება.

ვანო ცერცვაძის თქმით, სწავლა-მუშაობასთან დაკავშირებით იკვეთება სამი ძირითადი მიდგომა:

სამუშაოსთან დაკავშირებული სწავლება (WRL): მიდგომა, რომელიც ფოკუსირდება სამუშაოს შემდეგ სამუშაოსთან დაკავშირებული უნარების განვითარებასთან. ეს შეიძლება იყოს ფორმალური და არაფორმალური ტრენინგები

სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება (WBL): საგანმანათლებლო სტრატეგია, რომელიც სტუდენტებს სთავაზობს რეალურ სამუშაო გარემოს, სადაც მათ შეუძლიათ გამოიყენონ აკადემიური და ტექნიკური უნარები და გაიუმჯობესონ დასაქმების უნარი.

სამუშაოში ინტეგრირებული სწავლება (WIL):

აძლევს სტუდენტებს შესაძლებლობას გამოიყენონ აკადემიური სწავლებიდან მიღებული ცოდნა შესაბამის სამუშაოზე და სამუშაოდან მიღებული გამოცდილება გარდაქმნან ცოდნად. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოში ინტეგრირებული სწავლების მეთოდი იზიარებს იმავე მიდგომებს, რასაც როგორც სამუშაოზე დაფუძნებული სწავლა (WBL), ის განსხვავდება იმით, რომ WIL არის სასწავლო გეგმის ნაწილი და ხელმძღვანელობს სასწავლო მიზნებით, მაშინ როცა WBL ფოკუსირებულია სამუშაო ადგილზე და არ არის დაკავშირებული აკადემიურ კვლევებთან და სწავლებასთან. WIL სისტემა ეფექტურობა გამოიხატება იმაში, რომ ის

არა მხოლოდ აუმჯობესებს სტუდენტის კარიერულ, აკადემიურ დასხვა პერსონალურ უნარებს, არამედ მას დამატებითი სარგებელი მოაქვს დამსაქმებლებისთვის და აკადემიური ინსტიტუტებისთვის.

ვანო ცერცვაძის თქმით ევროპის ქვეყნების მაგალითზე ჩანს, რომ სამივე მეთოდი გამოიყენება უმაღლეს განათლების დონეზე და წარმოადგნეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ინდუსტრიას შორის თანამშრომლობის მომგებიან მოდელს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ არსებული გამოწვევებით და შექმნან სწავლების თეორიულ და პრაქტიკულ მოდელზე დაფუძნებული მოქნილი სასწავლო გეგმები, რომლებიც ადაპტორებულია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. ასეთი მიდგომა ძალიან ეფექტურია საინჟინრო და გამოყენებითი მეცნიერებების უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე, თუმცა არანაკლები სარგებლის მიღებაა შესაძლებელი სხვა ისეთ მიმართულებებზე, როგორიცაა მაგალითად ბიზნესი და მენეჯმენტი, სამართალი და განათლება.

მეორეს მხრივ, კომპანიები და მეწარმეები, რომლებიც მონაწილეობენ უმაღლესი განათლების პროცესში, სარგებელს იღებენ სტუდენტების ჩართვით თავიანთ სამუშაო ამოცანებში. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება კომპანიებს ეხმარება დაძლიონ კვალიფიციური მუშაკების ნაკლებობა, გააუმჯობესონ სამუშაო ძალის ხარისხი, გაამარტივონ კადრების შერჩევის პროცესი და დაზოგონ ხარჯები. უმაღლეს სასწავლებლებთან თანამშრომლობით კომპანიებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ სასწავლო გეგმის ფორმირებაზე მათთვის სასურველი ცოდნისა და უნარ-ჩვევების დამატების გზით.

ბათუმის საზღვაო აკადემიის ვიცე-რექტორის გიორგია გაბედავას თქმით, არსებობს დუალური განათლების ორი მოდელი - პროფესიული განათლების მოდელი და პროფესიული უმაღლესი განთლების მოდელი. აქედან პირველი, საქართველოში

უკვე ხორციელდება, ხოლო მეორე - არის უმაღლესი განათლების ჰიბრიდული ფორმა, რომელიც მონაწილეს სთავაზობს შესაძლებლობას დაასრულოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამა და პარალელურად მიიღოს პრაქტიკული პროფესიული მომზადების ან კომპანიაში სამუშაო გამოცდილების სერთიფიკატი. ძირითადი განსხვავებები ამ ორ მოდელს შორის შედარების სახით მოცემულია აღნიშნულ სლაიდზე, რაც ასახავს განსხვავებას ფოკუსში, სპეციალობის დონესა და სწავლის ხანგრძლივობაში და სწავლის შედეგებში.

ვანო ცერცვაძემ ევროპის სხვადასხვა უმაღლესი დუალური პროგრამების გაანალიზების საფუძველზე წარმოადგინა ტრადიციული და დუალური პროგრამის სემესტრული განაწილება. ამ შედარებიდან ნათლად წარმოჩინდა განსხვავებები სწავლების მიდგომებს შორის. კერძოდ, დუალურ სწავლებაში საბაკალავრო და სამაგისტრო დონეზე თეორიული და პრაქტიკული საათების განაწილება არის 60/40 და 50/50 სწავლების საფეხურების შესაბამისად.

დუალური უმაღლესი განათლების სიტემაში ინტეგრირდება სამი მხარე: სტუდენტი-უმაღლესი სასწავლებელი-კომპანია. დუალური განათლება კომპანიას განიხილავს, როგორც სტუდენტის სასწავლო გარემოს უნივერსიტეტთან ერთად. შესაბამისად დუალური უმაღლეს განათლებას გააჩნია მრავალმხრივი სარგებელი:

ამ სისტემის ფარგლებში სტუდენტები სამუშაო გარემოში იღებენ პრაქტიკული ცოდნასა და უნარებს, რაც აიოლებს მათი დასაქმების შესაძლებლობებს;

ბიზნესებსა და კომპანიებს უადვილდებათ კვალიფიციური პროფესიონალის პოვნა, რაც მათ აცილებთ ადამიანური რესურსების რისკებთან დაკავშირებულ დანახარჯებს და აუმჯობესებენ საკუთარი წარმოების პროცესსა და მომსახურების მიწოდებას;

უნივერსიტეტები ახდენენ სასწავლო გეგმების ადაპტირებას დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან და ზრდიან საკუთარ მიმზიდველობას, ვინაიდან უმჯობესდება კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები.

ამასთან ერთად, დუალურ განათლებას აქვს სოციალური დატვირთვაც, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვან სარგებელს იღებენ დაბალი სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობის მქონე სტუდენტები სწავლისა და მუშაობის ერთობლივად წარმართვის შედეგად, რაც მათ საშუალებას აძლევთ გარკვეულწილად გადაჭრან სწავლით გამოწვეული ხარჯების დაფინანსების პრობლემა.

გიორგი ქვარცხავას თქმით, სწავლების პროცესში ჩართული უნდა იყოს როგორც აკადემიური პერსონალი, ასევე პარტნიორი კომპანიები. რეკომენდირებულია, რომ უსდ წარმომადგნელებს ჰქონდეთ ინდუსტრიის გამოცდილება, ხოლო კომპანიების მასწავლებლებს დაახლოებით 5 წლიანი გამოცდილება ინდუსტრიაში და შესაბამისი აკადემიური ხარისხი (მინიმუმ MA). შეფასებაში წამყვანი როლი აკისრია უმაღლეს სასწავლებელს, თუმცა პრაქტიკული სამუშაოების ნაწილში აუცილებლად უნდა მოითხოვოს და დაეყრდნოს პარტნიორი კომპანიის ინფორმაციას სტუდენტების მუშაობის შესახებ, დადგენილი ანგარიშგებისა და შეფასების სისტემის მიხედვით.

დასკვნითი ნაშრომზე მუშაობის პროცესში სტუდენტს ერთობლივად ხელმძღვანელობას უწევენ უმაღლესი სასწავლებლისა და კომპანიის ინსტიტუტის წარმომადგენლები. კომპანიის მხრიდან დანიშნული მენტორი აფასებს ნაშრომის გამოყენებით, პრაქტიკულ ნაწილს, ხოლო უნივერსიტეტის მხრიდან დანიშნული ხელმძღვანელი ნაშრომის აკადემიურ და თეორიულ მხარეს.

ევროპული გამოცდილების წარდგენის შემდეგ, ვანო ცერცვაძემ წარმოადგინა საქართველოში შრომის ბაზრის საჭიროებების შეფასება და დუალური სწავლების მოდელთან დამოკიდებულება.

მისი თქმით, დუალური უმაღლესი განათლების მოდელის შესამუშავებლად დაიგეგმა ქართული შრომის ბაზრის საჭიროებების შეფასება. საერთო ჯამში, კვლევის პროცეში გამოიკითხა 96 ორგანიზაცია, რომლებიც ოპერირებენ საქართველოში. მათგან 30% იყო მიკრო კომპანია, 30% - მცირე ბიზნესი, 25% - საშუალო ბიზნესი და 15% მსხვილი კომპანია (დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით).

ძირითად საკითხები, რაზეც კვლევის დროს გავამახვილეთ ყურადღება: კვლევის მიზანი იყო შეგვეფასებინა საქართველოში შრომის ბაზრის საჭიროებები და კომპანიების მოთხოვნები უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა მიმართ და ასევე მათი მზაობა დუალური უმაღლესი სწავლების მოდელში ჩასართავად.

გამოკითხული ორგანიზაციების ინტერესის სფერო მრავალფეროვანია და მოიცავს მრავალ დარგობრივ მიმართულებას. მათ შორის: აზარტული თამაშების ბიზნესი, ჯანდაცვა და სოციალური მუშაობა, ელექტროენერგიის, გაზის, ორთქლისა და კონდიცირების წარმოება და მიწოდება, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობა, უძრავი ქონების ბიზნესი, ფინანსური და სადაზღვევო საქმიანობა, წყალმომარაგება, ინფორმაციისა და კომუნიკაციის სექტორი, სახელმწიფო მმართველობა და დაცვა, მშენებლობა, საბითუმო და საცალო ვაჭრობა, სტუმარ-მასპინძლობის მიმართულება, სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, წარმოება, ტრანსპორტირება და დასაწყობება, სხვა სერვისები.

კვლევაში მონაწილე კომპანიები ძირითადად აქტიურობენ შემდეგ სექტორებში: ტრანსპორტირება და დასაწყობება, წარმოება, სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა და მეთევზეობა, სტუმარ-მასპინძლობის სერვისი, საბითუმო და საცალო ვაჭრობა.

ყველა კომპანიაში, რომელიც ჩვენ გამოვიკითხეთ, დასაქმებულია უმაღლესი განათლების მქონე პერსონალი. უმაღლეს დამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მიკრო კომპანიებში მერყეობს 20%-80%-ის ფარგლებში, მაშინ როცა ზოგიერთ მსხვილ კომპანიაში, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა აღემატება 250-ს,

უმაღლესდამთავრებულთა წილი 20%-ზე დაბალია (მშენებლობა, გზების რეაბილიტაციის სექტორში) (სლაიდი 4). ასევე აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ კომპანიაში უმაღლეს დამთავრებულთა წილი 100%-ია (იგულისხმება ძირითადი საშტატო ერთეულები - მაგალითად, სერვისის კომპანიებში და საჯარო დაწესებულებებში). საშუალოდ, უმაღლესდამთავრებულთა წილი კვლევაში მონაწილე ორგანიზაციებში 52%-ია (მედიანური საშუალო 50%. მინ: 6%, მაქს.: 100%).

კადრების დენადობის მაჩვენებელი გამოკითხულ კომპანიებში 1%-50% ფარგლებშია და კომპანიების სიდიდის მიხედვით ის ასე გამოიყურება.

კვლევის ინტერესი მიმართული იყო იმის გამოსარკვევად, თუ როგორია კომპანიებში უმაღლესი განათლების მქონე პირთა დასაქმების საჭიროება და რამდენად აკმაყოფილებენ ისინი კომპანიის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს. ჩვენს მიერ დასმულ კითხვაზე - ეთანხმებით თუ არა, რომ კომპანიაში არის უმაღლესი განათლების მქონე პერსონალის დამატებითი დასაქმების საჭიროება - კომპანიების დიდმა უმრავლესობამ დაადასტურა ასეთი საჭიროების არსებობა.

უმაღლესი განათლების კადრების აყვანისას კომპანიები აწყდებიან სირთულეებს, რაც ძირითადად უკავშირდება მათ ადაპტაციას რეალურ სამუშაო გარემოში. კითხვაზე - ეთანხმებით თუ არა, რომ არსებობს სირთულეები/ბარიერები უმაღლესი განათლების ადეკვატური კადრების აყვანისას გარკვეული პოზიციებისთვის - კომპანიების პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა.

ყველაზე მოთხოვნადი და კრიტიკული პოზიციები, სადაც გამოკითხული კომპანიები განიცდიან კვალიფიციური კადრების სიმცირეს, შორის არის მენეჯერული და საინჟინრო მიმართულებები.

გამოკითხული კომპანიების 54%-ს გააჩნია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გამოცდილება, რაც უმრავლეს შემთხვევაში გამყარებულია შესაბამისი ხელშეკრულებით. ძირითადად კომპანიები და

უნივერსიტეტები თანამშრომლობენ სტუდენტური პრაქტიკების მიმართულებით, თუმცა კომპანიების წარმომადგენლები ასევე აქტიურად არიან ჩართული ერთობლივ პროექტებსა და კვლევებში, ლექციების წაკითხვაში და სხვ.

ჩვენს კითხვაზე - მიიღებდით თუ არა მონაწილეობას ორმაგი სასწავლო პროგრამების შემუშავებაში თქვენი კომპანიის პროფილის შესაბამისად? კომპანიების უდიდესი ნაწილი (73%) მიიჩნევს, რომ ისინი უნდა ჩაერთონ დუალური განათლების სისტემაში. გამოკითხულთა 21%-ს არ აქვს განსაზღვრული პოზიცია და როგორც ჩანს, ეს ძირითად განპირობებულია ორი მიზეზით, ან მათი სათაო ოფისები მდებარეობს საქართველოს გარეთ, ან ეს არის სამთავრობო უწყება და ამგვარი გადაწყვეტილების მიღებას ესაჭიროება მთავარი ოფისის თანხმობა. მხოლოდ რამდენიმე მიკრო კომპანიამ განაცხადა უარი დუალურ განათლებაში საკუთარი ჩართვის პოტენციალის შესახებ (2%) და გამოკითხულთა 4%-მა თავი აარიდა პასუხს. აქაც პასუხისგან თავის არიდება მოდის მიკრო კომპანიებზე. საერთო ჯამში, ნათლად ჩანს, რომ კომპანიების უმეტესობა გამოხატავს დუალური განათლების სისტემაში საკუთარი წვლილის გაღრმავების სურვილს.

ჩვენ ასევე გვაინტერესებდა თუ რა ხარისხით შეუძლია განათლების დუალურ ფორმას ხელი შეუწყოს კომპანიაში სამუშაო პროცესს და რამდენად ეფექტური იქნება ეს პროცესი ხელს შრომის ბაზარზე კვალიფიციური პერსონალის სიმცირის აღმოსაფხვრელად. როგორც აღმოჩნდა პასუხები ამ კითხვებზე მნიშვნელოვნად კორელირებენ ერთმანეთთან.

კომპანიების 48%-ს სრულად და 33%-ს თითქმის სრულად სჯერა იმის რომ განათლების დუალურ ფორმას შეუძლია დაეხმაროს და მხარი დაუჭიროს მათ ორგანიზაციაში მუშაობის ან მომსახურების მიწოდების პროცესს. ნაწილობრივ ამ პროცესში დადებით პოტენციალს ხედავს გამოკითხული კომპანიების 15% და მხოლოდ 4% კომპანიებისა

გარკვეულწილად ეჭვის თვალით უყურებს დუალური განათლების პოტენციალს. აღსანიშნავია, რომ კატეგორიული უარი დუალური განათლების სისტემის წინააღმდეგ არცერთ ორგანიზაციას არ დაუფიქსირებია.

რაც შეეხება, დუალური სისტემის გავლენას კვალიფიციური პერსონალის სიმცირის აღმოფხვრაზე, კომპანიების აბსოლუტური უმრავლესობა - 96% (71% სრულად ეთანხმება, ხოლო 25% თითქმის სრულად ეთანხმება) მიიჩნევს, რომ უმაღლესი განათლების ორმაგი ფორმა მნიშვნელოვან როლს ითამაშებს კვალიფიციური პერსონალის დეფიციტის შემცირების საქმეში. პასუხები მოწმობს, რომ კომპანიების უმრავლესობა დარწმუნებულია დუალური განათლებას პოტენციალში გაზარდოს ადეკვატური კადრების რაოდენობა დასაქმების ბაზარზე.

დუალური უმაღლესი განათლების მოდელის განხორციელება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად აქვთ კომპანიებს შესაძლებლობა დაასაქმონ სტუდენტები თავიანთ ორგანიზაციაში სასწავლო პრაქტიკის განმავლობაში.

კომპანიების 81%-ს აქვს შესაძლებლობა საკუთარ ორგანიზაციაში ყოველწლიურად სტუდენტურ პრაქტიკაზე დაასაქმონ სტუდენტები, ხოლო 19%-ს ამის შესაძლებლობა არ აქვს. როგორც მინიმუმი, მიკრო, მცირე და საშუალო ზომის კომპანიებს შეუძლიათ მიიღონ 1-2 სტუდენტი ყოველწლიურად. რაც უფრო იზრდება კომპანიის ზომა, მით უფრო დიდია მათი შესაძლებლობა მიიღონ სტუდენტების სამუშაო პრაქტიკაზე.

ჩვენ ასევე გვაინტერესებდა, როგორი იყო სტუდენტების სამუშაო პრაქტიკაზე დასაქმების სასურველი და ურთიერთსარგებლიანი ფორმა, რომელიც თანაბრად მისაღები იქნებოდა, როგორც ორგანიზაციისთვის, ასევე სტუდენტის სწავლის მიზნებისთვის.

გამოკითხულთა აზრით, ყველაზე უფრო მეტად მისაღებია ერთ სემესტრიანი სამუშაო პრაქტიკა, ვინაიდან ამ ხნის განმავლობაში უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო

პროცესის განგრძობითობა და შესაძლებელი იქნება სამსახურეობრივი პროექტების დაწყება, დასრულება და ანგარიშგება. გამოკითხულთა აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს სტუდენტი კონცენტრირებული იყოს სამუშაოზე და ესმოდეს შესასრულებელი დავალებების თანამიმდევრულობა.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შეკითხვა ეხებოდა იმას, თუ რამდენად მზად არინ კომპანიები მოახდინონ პრაქტიკაზე დასაქმებული სტუდენტების რაიმე სახით ფინანსური მხარდაჭერა. როგორც აღმოჩნდა, გამოკითხული კომპანიების 46% სტუდენტებს აუცილებლად აუნაზღაურებს გარკვეულ ხარჯებს. ასეთი პასუხის შემდეგ, ჩვენ უფრო მეტად ჩავუღრმავდით აღნიშნულ საკითხს და რესპონდენტებს ვთხოვეთ დაეკონკრეტებინათ თუ რას გულისხმობდნენ ფინანასურ მხარდაჭერაში. როგორც პასუხებმა აჩვენა, თითქმის ყველა ის კომპანია, რომლებიც მზაობას გამოთქვამს გარკვეული ფინანსური მხარდაჭერა გაუწიონ სტუდენტებს, ამას გააკეთებენ შრომის ანაზღაურების სახით.

კომპანიათა უმრავლესობა ასევე მოწადინებულია დუალური სწავლების სისტემაში ჩაერთოს საკუთარი ადამიანური რესურსებით და გამოყოს მენტორები სტუდენტების სახელმძღვანელოდ. ეს მნიშვნელოვანი შედეგია იმ თვალსაზრისით, რომ მენტორობა წარმოადგენს კომპანიის კონტრიბუციას და შესაბამისად კომპანიის გაზრდილ მოტივაციას განუვითაროს სტუდენტებს ის უნარ-ჩვევები, რომლებიც პოტენციურად გამოყენებული იქნება კომპანიის პროდუქტიულობის გასაზრდელად.

დისკუსია

მონაწილე კომპანიების მხრიდან ითქვა, რომ ისინი გარკვეულწილად ჩართული არიან დუალურ განათლებაში და ამზადებენ სტუდენტებს პროფესიული საქმიანობისთვის. თუმცა ბმა უმაღლეს სასწავლებლებთან და სასწავლო გეგმებთან ძალიან არაფორმალურია. კერძოდ არ არსებობს სტანდარტულად გაწერილი გეგმა, სამუშაოს

აღწერილობა, რომელიც შესაბამისობაშია სწავლის შედეგებთან. ასევე თითქმის საერთოდ არ არსებობს კომპანიის მენტორებსა და უმაღლესებს შორის კომუნიკაცია სწავლების გეგმასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, არსებობს მოსწავლეების ანაზღაურების პრაქტიკა და ორივე მხარის სურვილის შემთხვევაში სტუდენტის სრულ განაკვეთზე აყვანის შესაძლებლობა.

ფორუმის ერთ-ერთი მასპინძლის მხრიდან ამასთან დაკავშირებით განიმარტა, არსებობს განსხვავება დუალური განათლების სწავლების საფეხურებს შორის. უცხოეთში, კერძოდ გერმანულენოვან ქვეყნებში, საიდანაც მომდინარეობს კიდეც დუალური განათლების კონცეფცია განათლების მოდელი, თავდაპირველად ამ მოდელის ადრესატი იყო პროფესიული განათლების საფეხური. საქართველოშიც დუალური პროფესიული განათლება რამდენიმე წლის წინ დაინერგა და იგი გულისხმობს პროფესიული სტუდენტების სწავლებაში სამუშაო პრაქტიკის გათვალისწინებას. ჩვენს შემთხვევაში საქმე გვაქვს არა დუალური სწავლების პროფესიულ მოდელთან, არამედ დუალური უმაღლესი განათლების მოდელთან, რაც ისევე, როგორც პროფესიულის შემთხვევაში გულისხმობს სასწავლო პროცესში აკადემიური ცოდნისა და პრაქტიკული უნარების მიღება განვითარებას უნივერსიტეტისა და დამსაქმებლის მონაწილეობით. ამ შემთხვევაში კი უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სასწავლო პროცესში კომპანიების სრულფასოვან ჩართულობას. სასწავლო გეგმები უნდა შეიქმნას კომპანიების უშუალო მონაწილეობით და მასში უნდა შევიდეს სტუდენტის სამუშაო უნარების გაუმჯობესების მეთოდური საფეხურები.

ნიკოლოზ ბაქრაძემ (ფორუმის მასპინძელი - GIPA) აღნიშნა, რომ ეს მოდელი, ჩვენ კი ვამბობთ, რომ გერმანულენოვანი ქვეყნების მოდელია, თუმცა ეს მოდელი საქართველოშიც არსებობდა ისტორიულად და მან მეოცე საუკუნემდე მოაღწია. ჩვენს ანგარიშში არის კიდევაც ამის შესახებ საუბარი - ჯერ კიდევ „ევსტათი მცხეთელის

მარტვილობაში“ მეექვსე საუკუნეში, ივანე ჯავახიშვილის სხვა მკვლევართა აზრით იკვეთება განათლების სამსაფეხუროვანი სისტემა, რომელთა აღსანიშნავადაც გამოიყენებოდა ტერმინების ოსტატი, ქარგალი და შეგირდი. ხელოსნობის ამგვარ საფეხურს ოფიკალი ეწოდებოდა. ოსტატი როგორც მასწავლებელი თავის ხელოსნურ გამოცდილებას შეასწავლიდა შეგირდს, რომელიც გარკვეული ხნის შემდეგ იწყებდა ქარგლობას ანუ ნაწილობრივ დამოუკიდებელ მუშაობას. XIX საუკუნიდან მოყოლებული ხელოსანთა გაერთიანების სახელად „ამქარმა“ მოიკიდა ფეხი, თუმცა მასში შენარჩუნებული იყო ცოდნის ოსტატიდან შეგირდზე გადაცემის საუკუნოვანი ტრადიცია.

ფორუმზე გაიჟღერა მოსაზრებამ, რომ უმაღლესი განათლების არსებული მოდელი გარკვეულწილად მოძველებულია. უნივერსიტეტი ცდილობს გაზარდოს სტუდენტი, რომელსაც გააჩნია მოჭარბებული ინფორმაცია, რომელიც საშუალებას არ აძლევს მას კონცენტრირდეს პრაქტიკულ ამოცანებზე. ეს სიტუაცია გარკვეულად ჰგავს ხუმრობას ორდიპლომიან ტაქსისტებზე, როდესაც ზედმეტი განათლება სრულად არ ნიშნავს ამაღლებულ კვალიფიკაციასა და უნარებს. პირიქით, გადაჭარბებული დოზით მიცემული განათლება კურსდამთავრებულს ნაკლებად კვალიფიციურს ხდის პრაქტიკული და გამოყენებითი ამოცანების გადაჭრის დროს.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაოს წარმომადგენელის თქმით განათლებასა და კვალიფიკაციას შორის აცდენის აღმოფხვრის ერთ ერთი სტრატეგია მდგომარეობს სწავლების დუალური მოდელის განხორციელებაში. უმაღლეს განათლებაში დუალური სწავლება პირველად გამოიყენეს აშშ-ში ცინცინატის უნივერსიტეტში და ამ მოდელის სულისჩამდგმელი გერმანული წარმოშობის დეკანი იყო, რომლის იდეაც იყო უმაღლესი განათლებისა და სამუშაოს ერთიან სამეწარმეო გარემოში ინტეგრირება - 1906 დუალური განათლება პირველად დაინერგა ცინცინატის უნივერსიტეტში. 1975 წელს დუალური უმაღლესი განათლების მოდელი დაინერგა

Baden-Württemberg-ის კოოპერატიული განათლების უნივერსიტეტში, 2002 წელს გრაცის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტში (ავსტრია FH JOANNEUM), 2006 წელს ესპანეთის მთელ რიგ უნივერსიტეტებში, ხოლო 2019 წლიდან სერბეთში. ამ მოდელის დანერგვის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ ამოევსო უფსკრული საუნივერსიტეტო ცოდნასა და პრაქტიკულ უნარ ჩვევებს შორის.

შეჯამება

საერთო ჯამში, სადისკუსიო ფორუმზე გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება ზოგადი სახით წარმოდგენილი იქნეს შემდეგი სახით:

- არსებობს გარკვეული შეუსაბამობა სწავლების აკადემიურ გეგმებსა და ამოცანების გადაჭრის პრაქტიკულ უნარებს შორის, შესაბამისად, შრომის ბაზარზე არსებობს პრაქტიკული უნარების მქონე კვალიფიციური უმაღლესდამთავრებული კადრების დეფიციტი;
- დამსაქმებლის აზრით დუალური უმაღლესი განათლების მოდელში უნივერსიტეტისა და დასაქმების ბაზრის ურთიერთ თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ერთის მხრივ კვალიფიციური კადრების მომზადებას, ხოლო მეორეს მხრივ კომპანიების პროდუქტიულობის ზრდას;
- საქართველოს შრომის ბაზარზე წარმოდგენილი ბევრი კომპანია დაინტერესებულია თანამშრომლობით უნივერსიტეტებთან სტუდენტური პრაქტიკის კუთხით და საჭიროა ამ ურთიერთობის მორგება სასწავლო გეგმებთან.

ფორუმი - მრგვალი მაგიდა

დღის წესრიგი

შეხვედრის მისამართი:

თბილისი, გურამიშვილის 17,

სტუ, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი

ონლაინ შეხვედრის ბმული:

https://gipa-ge.zoom.us/j/99467031953?pwd=bXNySzlGbGFmQmdFSFlNeEM5VTZWQT09

დრო: 19 დეკემბერი, 2023

პროექტის სახელი: საქართველოს უმაღლეს განათლებაში დუალური განათლების განხორციელების შესაძლებლობების გაძლიერება

შეხვედრის მიზანი: დუალურ უმაღლეს განათლებაში უცხოეთის გამოცდილებისა და ქართული შრომის ბაზრის საჭიროებების კვლევის შედეგების წარდგენა

10:30-11.00	მონაწილეთა რეგისტრაცია	
ნაწილი I - მისალმება		
11:00-11:05	მისალმება - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	სამინისტრის წარმომადგენელი
11.05-11.10	მისალმება – საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების	ცენტრის წარმომადგენელი

	ეროვნული ცენტრი	
11:10-11:20	პროექტის ზოგადი მიმოხილვა	ვანო ცერცვაძე (ჯიპა)
11:20-11:25	დუალური განათლების გამოწვევები	გიორგი ქვარცხავა (სტუ)
შესვენება 10 წუთი		
ნაწილი II - კვლევის შედეგების წარდგენა		
11.30-11.40	კვლევის შედეგები - უცხოეთის გამოცდილება კვლევის შედეგები - ქართული შრომის ბაზრის საჭიროებების კვლევა	ვანო ცერცვაძე
11.40-12.30	პროექტში მონაწილე ქართული უმაღლესი სასწავლებლების ხედვა დუალურ სწავლებასთან მიმართებაში და დისკუსია მოწვეული სტუმრების მონაწილეობით	1. GIPA - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი 2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 3. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი 4. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია 5. ბათუმის ნავიგაციის

		სასწავლო უნივერსიტეტი
ნაწილი III - შრომის ბაზრის ხედვა და კვლევის შედეგების განხილვა		
12.30-13.00	ქართული კომპანიების გამოცდილება და ხედვა დუალურ სწავლებასთან დაკავშირებით. დისკუსია მოწვეული სტუმრების მონაწილეობით	1. ვენგო ჯგუფი 2. ინტერლოგჯორჯია 3. ღვინის კომპანია შუმი 4. ვილჰელმსენ შიფს სერვის ჯორჯია 5. ეროვნული სატყეო სააგენტო
13.00-13.10	შეჯამება	